

საქართველოს კანონი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. სამსახურის მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის შესაბამისად დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. „საჯარო სამსახურის კოდექსი“-ს მოქმედება სამსახურის მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ამ კანონითა და ამ პუნქტში მითითებული წესით სხვაგვარად არ რეგულირდება შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები.“,

2. მე-15 მუხლის „ე“, ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პირი, რომლის მიმართაც არსებობს „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის გარემოებები;“

3. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხების ოდენობას, ამ თანხების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობების ჩამონათვალს და მათი მიღების წინაპირობებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. მოსამსახურეთა ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) ოდენობები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის კოდექსის“ შესაბამისად. „

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.